

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას

მოქალაქე როლანდ ზღადაძის
პირადი
წარმომადგენლის, ადვოკატ არჩილ კაიკაციშვილის
სიითი #
თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. #12
საკონტაქტო:

დასკვნითი სიტყვა

**დასკვნები და მითითებები როლანდ ზღადაძის საქმეზე სამართლის პრობლემატურ
საკითხებზე და მათი დაძლევის იურიდიული შესაძლებლობები**

1 - დაირღვა თუ არა ბათუმში, ერას ქუჩა 37, ბ.8 ჩამორთმევით როლანდ ზღადაძის ქონებრივი უფლებები, წარმომადგენდა თუ არა სახელმწიფოსთვის გადაცემული ქონება უკანონოს და დაუსაბუთებელს, უზრუნველყო თუ არა როლანდ ზღადაძემ მტკიცების ტვირთის გამოყენება და უზრუნველყოფილ იქნა თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა?

ა) ევროსასამართლომ 2014 წლის 8 სექტემბრის საქმეზე: „გოგიტიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც ეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37¹ მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹ მუხლით თანამდებობის პირების მიმართ საკუთრების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნევის საფუძვლებს, ქონებების ჩამორთმევის შეფასება დაადგინა ევროკონვენციის 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით (საკუთრების სარგებლობის კონტროლი).

ევროსასამართლოს განმარტებით, საკუთრების უფლების ხელყოფა 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლთან შესაბამისობით განხორციელებულად ჩაითვალოს, არსებითი პირობაა, რომ ხელყოფა საზოგადოების ინტერესებთან მართლზომიერი და ხელყოფის მიზნებთან ობიექტურად თანაზომიერი იყოს. სხვა სიტყვებით, უნდა არსებობდეს „სამართლიანი ბალანსი“ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას შორის. სასამართლო, ზოგადად, პატივს სცემს კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკურ არჩევანს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ზომებს „**ობიექტური საფუძველი აშკარად არ გააჩნია**“ (საქმე: „აზიენდა აგროკოლა სილვენფუნლი იტალიის წინააღმდეგ“).

ევროსასამართლომ, საკითხზე: **იყო თუ არა ქონების ჩამორთმევის წარმოება უკანონო**, აღნიშნა, რომ ეს ნორმები ითვალისწინებს უკანონოდ მიჩნეული ქონების კანონიერი წარმოშობის მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე გადატანას ქონების ჩამორთმევის არასისხლისსამართლებრივ წარმოებაში. ამასთან, **საკითხზე: მოქმედებდნენ თუ არა შიდა სასამართლოები მართლზომიერად, ევროსასამართლომ აღნიშნა**, რომ უნდა დადგინდეს, ქონების ჩამორთმევის სამოქალაქო საქმის წარმოებისას მომჩივნებს საკუთარი არგუმენტების სასამართლოს წინაშე წარმოდგენის ობიექტური შესაძლებლობა მეიცათ თუ არა (საქმე: „ჯოკელა ფინლანდიის წინააღმდეგ“).

ბ) იგივე დათქმებს იმეორებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37¹ მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹ მუხლით თანამდებობის პირების მიმართ საკუთრების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნევის საკითხზე. საკონსტიტუციო სასამართლომ თქვა, რომ კონსტიტუციის საკუთრების უფლების დამცავი დებულება (კონსტიტუციის 21-ე მუხლი), მსგავსად ევროკონვენციის 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლისა, ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობას არ გამორიცხავს, თუ ასეთი ზომა მართლზომიერია და საზოგადოებრივ ინტერესს და თანაზომიერების პრინციპს შეესაბამება. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კონსტიტუციით მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებული ქონება არის დაცული. განმცხადებლების საქმეში არსებობდა ლეგიტიმური ეჭვი ქონების არაკანონიერი წარმოშობის შესახებ, ეჭვი, რომელიც მომჩივანმა და მისმა ოჯახის წევრებმა სასამართლო წარმოებისას ვერ გააქარწყლეს.

როგორც ევროსასამართლომ, ასევე საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნეს, რომ საპროცესო კოდექსის 37¹ მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹ მუხლით თანამდებობის პირების მიმართ ქონების ჩამორთმევის წარმოება სისხლის სამართლის წარმოებასთან არ უნდა გაიგივებულიყო. მოცემულ შემთხვევაში, საკითხი უნდა გადაჭრილიყო ბრალის დადგენის გარეშე, ვინაიდან სამართალწარმოების პროცესში ადგილი ჰქონდა წმინდა სამოქალაქო დავას და ვინაიდან სამართალწარმოებას „სამოქალაქო“ ხასიათი გააჩნდა, დასაშვები იყო მტკიცების ტვირთი დაკისრებოდა მომჩივანს ანუ კერძო პირს.

გ) მოცემულ შემთხვევაში, როლანდ ბლადამის საქმის ფაქტობრივი გარემოებები განსხვავებულია იმ მომჩივანთა მოთხოვნებისგან და საქმის ისტორიისგან, რომლებმაც მიმართეს ჯერ საკონსტიტუციო სასამართლოს, შემდეგ ევროსასამართლოს. ამიტომაც, როლანდ ბლადამის საქმე სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, უნდა შეფასდეს, როგორც იმ დადგენილი მტკიცების ტვირთის და პირის საკუთრების უფლების დაცვის სტანდარტის მიხედვით, რომელიც არსებობდა ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნევის პერიოდისთვის, ასევე უნდა შეფასდეს სარჩელის აღძვრის მომენტისთვის მტკიცების ტვირთის იმ სტანდარტით, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის წინაპირობებთან.

დ) ამ თვალსაზრისით, როლანდ ბლადამის ჩამორთმეული საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში, არც დანაშაულის გზით მოპოვებული ქონება არ იყო და არც „დანაშაულიდან წარმოშობილი“. სახელმწიფოს პროკურორი ვერ მოქმედებდა მტკიცებულების გადაწონვის სტანდარტით, რომლის დაცვაც შიდა-ეროვნული თუ ევროპული კონვენციის საფუძველზე, მის ვალდებულებას წარმოადგენდა. კერძოდ, პროკურორმა წარმოადგინა, ხოლო სასამართლომ გაიზიარა გონივრული ეჭვი იმის შესახებ, რომ დღეს სადავო უძრავი ქონების გარდა, როლანდ ბლადამის საკუთრებაში, აგრეთვე უკანონოდ არსებობდა სხვა უძრავი და მოძრავი ქონება. პროკურორის გონივრული ეჭვი ნაწილობრივ გაიზიარა სასამართლომ და არ დააკმაყოფილა მამაპაპისეული სახლის ჩამორთმევის მოთხოვნა სოფ. ქვედა სამებაში, თუმცა ამავე სასამართლომ ისე მიიღო სხვა უძრავი და მოძრავი ქონებების ჩამორთმევის გადაწყვეტილება, რომ საქმეში არ იყო ჩამორთმეული ერთ-ერთი ქონების - საცხოვრებელი ბინის ქ. ბათუმში, ნ. დუმბაძის ქუჩაზე კუთვნილების შესახებ დოკუმენტაცია, ასევე ავტომობილების ნამდვილი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია, ასევე, მტკიცებულება მიწის ნაკვეთის ფლობის ნამდვილობის შესახებ.

რაც მთავარია, საკუთრების უფლების არსიდან გამომდინარე, პირს არ მისცემია შესაძლებლობა მოეხდინა პროკურორის გონივრული ეჭვის გაქარწყლება, რასაც შესძლებდა პირველივე შესაძლებლობის პირობებში მოპოვებული/წარმოდგენილი იმ მტკიცებულებების პირობებში, რომელიც უკვე დაერთო 2004 წლის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნას ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში, თუმცა 2005 წლის 24 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ როლანდ ბლადამის საკასაციო საჩივარი ხანდაზმულობის ვადების გასვლის გამო, განუხილველი დატოვა.

როლანდ ბლადამეს დაერღვა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა და საპროცესო თანასწორუფლებიანობა. საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება იმის შესახებ, რომელიც დაადასტურებდა, რომ როლანდ ბლადამეს სასამართლო სხდომაზე მოწვევის უწყება ჩაბარდა. ამასთან, სასამართლოს მხრიდან არავითარი გონივრული ვადა არ დადგინდა ქონების ჩამორთმევის შესახებ დანიშნული 2004 წლის 9 სექტემბრის სხდომის 10 სექტემბერს გადატანის უზრუნველყოფით, რომლის მიზეზიც იყო უწყების ჩაუბარებლობის პირობებში, მხარის გამოუცხადებლობა 9 სექტემბრის სხდომაზე. მეტიც, მხარემ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების და სამართალწარმოების თაობაზე თვეების შემდეგ შეიტყო, რადგანაც ქონების ჩამორთმევის თანმდევი პროცესი არ ყოფილა გამოსახლების მყისიერი პროცესი. სადავო ქონებიდან გამოსახლება მოხდა 2006 წელს.

მხარის საქმის მასალების გადმოცემაზე აჭარის ა/რ სასამართლოში პირველი განცხადება რეგისტრირებულია 2005 წლის 25 აპრილს. იგივე მოთხოვნა რეგისტრირებულია 2005 წლის 6 ოქტომბერს. მას შემდგომ, რაც მხარეს ჩაბარდა საქმის მასალები, 2005 წლის 31 ოქტომბერს დაიწყო სამართალწარმოება, გაასაჩივრა 10 სექტემბრის გადაწყვეტილება და წარმოადგინა მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც ადასტურებს მაშინდელი პროკურატურის უსაფუძვლო მოთხოვნებს და ადგენს დღეს სადავოდ შეძენილი ქონების კანონიერებას. შესაბამისად, მხარეს არ მიეცა ერთის მხრივ პროკურატურის ლეგიტიმური ეჭვის საპირისპირო მტკიცება, მეორე მხრივ სასამართლოში საპროცესო თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, დაცვის უფლების განხორციელება. სასამართლოს გადაწყვეტილება, შესაბამისად, ქონების ჩამორთმევა მომხდარია მოპასუხის, ამ შემთხვევაში, როლანდ ბლადამის სავალდებულო მტკიცების გამოყენების გარეშე. ამიტომაც, ქონების ჩამორთმევის ლეგიტიმურობა სადავოა და ის სრულად პასუხობს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში: „გოგითიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ გაკეთებულ დათქმებს. კერძოდ, არ არსებობდა „სამართლიანი ბალანსი“ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას შორის, პროკურატურის სარჩელს როლანდ ბლადამის მიმართ ობიექტური საფუძვლები არ გააჩნდა, არასისხლისსამართლებრივ წარმოებაში პირს დაერღვა საპროცესო თანასწორუფლებიანობა და მტკიცების ტვირთი, მაშინდელი სასამართლო არ მოქმედებდა მართლზომიერად, ვინაიდან როლანდ ბლადამეს არ მიეცა საკუთარი არგუმენტების სასამართლოს წინაშე წარმოდგენის ობიექტური შესაძლებლობა. მეტიც, როლანდ ბლადამის წარმომადგენელი მ. ესელიძე 2005 წლის 31 ოქტომბრის საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ როლანდ ბლადამე გამოთქვამდა მზადყოფნას სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან მიმართებით ეთანამშრომლა გამოძიებასთან და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა, მხოლოდ სადავოდ ხდიდა ბათუმში, ერას ქ. 37-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს.

ე) როლანდ ბლადამის მიმართ არასისხლისსამართლებრივ და სისხლისსამართლებრივ მოთხოვნებს სახელმწიფოს მხრიდან დასჯის მიზანი, რაც გამომდინარეობდა აჭარის ა/რ ყოფილ მთავრობასთან დაკავშირებულ პირებზე რიცხული ქონებების უკანონოდ და

დაუსაბუთებლად გამოცხადებაში. სახელმწიფომ როლანდ ბლადაძე კორუფციაში სწორედ ამ ნიშნით დაადანაშაულა. ამაზე მიუთითებს 2004 წლის აჭარის ა/რ პროკურატურის მინდობილობა (რომელიც საქმეშია წარმოდგენილი) და ეხება აჭარის ყოფილი მთავრობის ყოფილი წარმომადგენლების მიმართ ქონებების ჩამორთმევის დავალებას. როლანდ ბლადაძე ერთადერთი ადმინისტრაციული თანამდებობის პირია, რომელმაც საკუთარი უდანაშაულობისა და მტკიცების საშუალებად, 2005 წლიდან, სამართლებრივი ბრძოლის გზა აირჩია. სახელმწიფოს მხრიდან მხარე გახდა უკანონო დევნის, ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების შელახვის მსხვერპლი, რასაც ადასტურებს 2013 წლის 12 აპრილის როლანდ ბლადაძის საქმეზე დამდგარი გამამართლებელი დადგენილება. პირმა სისხლისსამართლებრივ წარმოებაში მიღწეული სამართლებრივი შედეგით იურიდიული საფუძვლები გამოაცალა არასისხლისსამართლებრივი წარმოების პროცესში უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნეული ჩამორთმეული სახლის ფაქტს და პოლიტიკურად ნეიტრალური, დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სახელმწიფო ბრალდების პირობებში, საქართველოში 2012 წლის პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, მტკიცების მაღალი სტანდარტით, სახელმწიფო პროკურორის ლეგიტიმური ეჭვის გაქარწყლება შეძლო. ამასთან, შეძლო სახელმწიფოს უკანონო, უსაფუძვლო და არამართლზმიერი მოქმედებების დადასტურება, რამაც არსებითად შელახა მისი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები.

ვ) დიდი შვიდეულის მთავრობათაშორისი ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფის 2003 წლის სპეციალური რეკომენდაცია საქართველომ მოიწონა, რომელიც სახელმწიფოს მიერ ქონების ჩამორთმევას გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის გარეშეც უშვებდა, რაც ამ შემთხვევაში, საკამათო არ არის, თუმცა საქართველოს სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37¹ მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹ მუხლით თანამდებობის პირების მიმართ გატარებულმა ანტიკორუფციულმა სამართალწარმოების პროცესმა, ხშირ შემთხვევაში, უკონტროლო ხასიათი მიიღო და განსხვავებული პოლიტიკური თანამდებობის პირების დასჯის საშუალებად იქცა. აღნიშნულზე უკვე მიუთითებს ევროსაბჭოს (GRECO) 2006 წლის 4-8 დეკემბრის 31-ე პლენარულ სხდომაზე მიღებული რეკომენდაციები საქართველოს მიმართ. ციტატა: „ამავე დროს ჯგუფს ეცნობა, რომ ქონების ჩამორთმევის ადმინისტრაციული წესის უკანონო გამოყენების თაობაზე გარკვეული შეშფოთება არსებობს. კერძოდ, რომ ეს წესი წინა მთავრობის მომხრეების წინააღმდეგ გამოიყენებოდა. ასევე, შეშფოთების საგანს წარმოადგენდა არასაკმარისი გამჭვირვალობა ჩამორთმეული ქონების მიქცევის თვალსაზრისით, რადგან ნათელი არ იყო, ჩამორთმეული ქონება ვის გადაეცემოდა (თუ ასეთი კანონიერი მფლობელი არსებობდა) ან ვისზე იყიდებოდა (ქონების სახელმწიფოზე გადაცემის შემთხვევაში) და ასევე, გაურკვეველი იყო, სახელმწიფოს გარდა ქონების ჩამორთმევით მოგებული ვინ რჩებოდა“.

ზ) როლანდ ბლადაძე პოლიტიკური ნიშნით, უკანონო ბრძანების მსხვერპლი გახდა. ციტატა ინტერვიუდან, სადაც როლანდ ბლადაძე ამბობდა: „როდესაც ასლან აბაშიძემ საქართველო დატოვა, უშუალოდ დამირეკა დათა ახალიამ და დამემუქრა, თუ ხელში ჩავუვარდებოდი, გამანადგურებდა. მანამდე, დათა ახალია, თვეების მანძილზე, საბაჟოზე, კაბინეტში მეჯდა, როგორც მიხეილ სააკაშვილის ბნდობით აღჭურვილი პირი და უშუალოდ აკონტროლებდა პროცესებს. დათა ახალიას ზარი ჩემთვის უკვე გახდა ნიშანი, საქართველო უნდა დამეტოვებინა. ჯერ მამაჩემთან მივიდნენ და მოითხოვდნენ, რომ 500 ათასი უნდა გადამხედა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქონებას წამართმევდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ერას ქუჩაზე, 1999 წელს შეძენილი სახლის გარდა, არავითარი ქონება არ გამაჩნდა. ამას ადასტურებდა

საჯარო რეესტრიც და სწორედ აღნიშნული ქონების ჩამორთმევის გადაწყვეტილება მიიღეს“. (გაზ. „ასავალ დასავალი“, საკასაციო საჩივარზე თანდართული მტკიცებულება). ამას უკვე ადასტურებს აჭარის ა/რ პროკურატურის 2013 წლის დადგენილება. ამდენად, სახელმწიფომ თავად აღიარა პირის მიმართ უკანონო დევნის ფაქტი და უკანონო სისხლისსამართლებრივი წარმოების პროცესიდან წარმოებული არასისხლისსამართლებრივი პროცესის უსაფუძვლობა. შესაბამისად, თავისი სამართლებრივი მტკიცების პროცესში, 2013 წლის აპრილიდან, მიეცა სრული უფლება ესარგებლა ხელყოფილი უფლების აღდგენით და სადავო გაეხადა იმ უფლებადამდგენი დოკუმენტები, რომელიც სახელმწიფომ ქონების გასხვისებით წარმოშვა.

თ) დღევანდელი სასამართლოს წინაშე მართებულად დაისმის საკითხი, ჰქონდა თუ არა როლანდ ბლადამის დამნაშავეობაზე და მისი საკუთრების ხელყოფაზე სახელმწიფოს ლეგიტიმურ ექვს ლეგიტიმური მიზანი და დასაბუთება? გადაწყდა თუ არა 2013 წლის აპრილის შემდეგ სახელმწიფოს აღნიშნული ექვი ბრალდებულის სასარგებლოდ? თუკი ქონების ჩამორთმევის პროცესი „სამოქალაქო“ ხასიათს ატარებდა, სადაც დაირღვა პირის საპროცესო თანასწორუფლებიანობა და ქონებრივი უფლებები, ნაკლოვანი და სადავოდ გამხდარი ნივთის მაინც გასხვისებით, რამდენად უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციული პროცესის დაწყება, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების წარმოშობა, მესამე პირის მიმართ გადაცემა. მოქმედებდა თუ არა სახელმწიფო ნამდვილი მესაკუთრის ქონებრივი უფლებების დარღვევის წინასწარი განზრახვით და ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს ვალდებულება მოეხდინა სადავო ქონების გასვისებისგან თავის შეკავება?

დადგენილია, რომ როლანდ ბლადამე ყველა სამართლებრივი საშუალებით და ფორმით, 2005 წლის 31 ოქტომბრიდან, ამტკიცებდა, რომ ჩამორთმეული ქონება უკანონო და დაუსაბუთებელი არ იყო, მოითხოვდა 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილებიდან წარმოშობილი თანმდევი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ამას მოწმობს საქმის მასალები: 2005 წლის 31 ოქტომბრის კერძო საჩივარი 2004 წლის გადაწყვეტილების გაუქმებაზე, 2006 წლის 9 იანვრის სარჩელი 2004 წლის გადაწყვეტილების გაუქმებაზე ახალდადმოჩენილი გარემოებათა გამო, 2006 წლის 3 მარტის სარჩელი სააღსრულებლო ფურცლის გაუქმებაზე, რომელი სამართალწარმოებაც შეჩერდა 2006 წლის 9 იანვრის სარჩელის გამო და გაანხლდა 2008 წლის 18 ივნისს, ხოლო საქმეზე გადაწყვეტილება დადგა 2008 წლის 8 ივლისს.

შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, საერთო სასამართლოებში, ერთის მხრივ განიხილებოდა როლანდ ბლადამის სარჩელი 2004 წლის გადაწყვეტილების გაუქმებაზე ახალდადმოჩენილი გარემოებათა გამო, მეორე მხრივ განიხილებოდა მხარის სარჩელი 2004 წლის გადაწყვეტილებიდან დამდგარი სააღსრულებლო ფურცლის გაუქმებაზე. დინამიკა ასეთია: 2004 წლის გადაწყვეტილების გაუქმებაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განჩინება მიიღო და მოთხოვნა არ დააკმაყოფილა 2007 წლის 20 მარტს. ამის შემდეგ, მხარემ სამართლებრივი ბრძოლა განაგრძო ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით, რაც გამოიხატა 2007 წლის 11 მაისს საქართველოს პრეზიდენტის მიმართ საჩივრის წარდგენით და ჩამორთმეული სახლის გასხვისებისგან თავის შეკავებაში, საქართველოს პარლამენტის კომიტეტების მიმართ რეაგირების მოხდენის მიზნით, მიმართვაში. რაც შეეხება დავას 2004 წლის გადაწყვეტილებიდან დამდგარი სააღსრულებლო ფურცლის გაუქმებაზე დავა, 2007 წლის 21 ივნისის მდგომარეობით, იყო შეჩერებული, სამართალწარმოება განახლდა 2008 წლის 18 ივნისს და სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2008 წლის 8 ივლისს. შესაბამისად,

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასკვნები იმის შესახებ, რომ სადავო უძრავი ქონების გასხივების მომენტისთვის სადავო გარემოებები არ არსებობდა, აბსოლუტურად მცდარია. შესაბამისად, სასამართლო უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ სადავო ქონება, ნაკლოვანი ნივთი, არ უნდა გასხვიებულიყო.

2 - აქვს თუ არა სასამართლოს უფლებამოსილება მოახდინოს პრივატიზაციის პროცესის კონტროლი და მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შეფასება?

სასამართლო კონტროლი პრივატიზაციის განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილებების პროცესში არ არის აბსოლუტური. სახელმწიფო პრივატიზაციის პროცესში, მისი მიზნებიდან და პრინციპიდან გამომდინარე, სარგებლობს საკმაოდ ფართო დისკრეციით და სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადაამოწმოს პრივატიზაციის განმახორციელებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობა, თუმცა აღნიშნული პრინციპი არ გულისხმობს პრივატიზაციის პროცესის უკონტროლობას და მის საქმიანობაზე სასამართლო ზედამხედველობის გამორიცხვას.

სასამართლო, სარჩელის პირობებში, ვალდებულია შეამოწმოს, არის თუ არა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაში, რამდენად დასაბუთებულია, ამ უფლებამოსილების გამოყენება, ხომ არ არის დარღვეული კანონის წინაშე კონსტიტუციური პრინციპები - თანასწორობა, მიუკერძოებლობა და საკუთრების უფლება, დაირღვა თუ არა კანონით დადგენილი წესი, მოხდა თუ არა გამოსაყენებელი ნორმის გაუთვალისწინებლობა, არასწორი გარემოებებით ხელმძღვანელობა, ობიექტურობის საყოველთაო მასშტაბის დარღვევა, რამაც მოსარჩელასთან მიმართებით განაპირობა გაუმართლებელი შეზღუდვების დაწესება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2012 წლის 11 აპრილის საქმეზე: 1655-1627 (კ11)) დისკრეციულ უფლებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. კერძოდ, სასამართლომ თქვა: „დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა, რათა ადგილი არ ჰქონოდა პროცედურულ დარღვევებს, კანონის ფარგლების გაცდენას, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყოლოდა საკუთრების ხელყოფა, კანონიერების, სუბიექტის უფლების დარღვევა“.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „სასამართლო ხელისუფლება ამოწმებს აღმასრულებელი ხელისუფლების ადმინისტრაციული ნორმაშეფარდებითი საქმიანობის კანონიერებას და იგი არ არის შეზღუდული ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შედეგად პირის კანონით დაცულ უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებშიგამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიონ პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. დასაბუთებულებაში უნდა აღნიშნულიყო შეზღუდვები, მოსაზრებები და გარემოებები, რ

ომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთების, როგორც თვითნებობისგან დაცვის ვალდებულების იგნორირება წარმოადგენდა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომის დადგენის და აქტის გაუქმების საფუძველს“.

მოცემულ შემთხვევაში, მხარე აღნიშნავს, რომ 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას დაირღვა კერძო და საჯარო ინტერესების გამოხატვა, თნასწორობისა და თანაზომიერების პრინციპები. სახელმწიფო მისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, გაცდა საჯარო უფლებამოსილებისა და მის ლეგიტიმურ მიზანს. ადგილი ჰქონდა ამ მიზნისგან გადახვევას და შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში. კანონით, ამ მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლის მიმართ უნდა მომხდარიყო პპროფესიული საქმიანობის უზრუნველყოფა, საცხოვრებელი ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემა და არა - საკუთრების უფლებით, თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის შესახებ კანონისა, რაც სადავო ხელშეკრულების დადების მართლზომიერებისა და მისი შინაარსობრივი კანონიერების საკითხზე დაუსაბუთებლობის საფუძველს აჩენს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის წინამდებარე უნდა შეამოწმოს მიღებულ გადაწყვეტილებასთან ამ უკანასკნელი პრინციპების შესაბამისობის გათვალისწინებით და იმსჯელოს როლანდ ბლადამის საცხოვრებელი სახლის პრივატიზაციის წესით გასხვისება აღმოჩნდა თუ არა წინააღმდეგობაში უპირობო ფასეულობის - საკუთრების უფლების დაცვის კონსტიტუციურ პრინციპთან, რომლის დარღვევამაც შელახა მესაკუთრის კანონიერი უფლებები და ინტერესები, როგორც ეს მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დანაწესით, ევროკონვენციის 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლის დათქმით და საქმეზე: „გოგითიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ნამდვილი მესაკუთრის სასარგებლოდ გაკეთებული დასკვნების მიხედვით.

შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს კვლევის საგანია არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მოსამართლეების მიმართ 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებებით სიმბოლურ ფასად, საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონებების ფაქტის შეფასება (რასაც როლანდ ბლადამე წინამდებარე სასარჩელო მოთხოვნების ფარგლებში არ ხდის სადავოდ) ან სახელმწიფოს მიერ 2007 წლის ივნისში, მოსამართლეთა სოციალური დაცვის მიზნით, პრივატიზაციის განხორციელების კანონიერების დადგენა, არამედ სახელმწიფოს მიერ პრივატიზაციის პროცესში, 2007 წლის 21 ივნისის სადავოდ მიჩნეული ნასყიდობის ხელშეკრულების წარმოშობა იმ უძრავი ქონებაზე, რომლიც სახელმწიფოს მიერ მისი პრივატიზაციის მომენტისთვის წარმოადგენდა ნაკლოვან ნივთს, უძრავ ქონებას სახელმწიფოს ეცილებოდა როლანდ ბლადამე, სასამართლო ინსტანციებსა და სახელმწიფო კომპეტენტურ ორგანოებში განიხილებოდა პირის მიმართ მისი ჩამორთმევის კანონიერების საკითხი და პრივატიზაციის პროცესზე პასუხისმგებელი სახელმწიფო დაწესებულება - საქართველოს პრეზიდენტი პრივატიზაციის განხორციელებამდე და 2007 წლის 21 ივნისის სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების წარმოშობამდე, განიხილავდა როლანდ ბლადამის ადმინისტრაციულ საჩივარს უძრავი ნივთის უკანონოდ ჩამორთმევისა და გასხვისებისგან თავის შეკავების შესახებ, რაც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მხარის მიერ წარდგენილ იქნა სადავო 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე, 21 დღით ადრე.

შესაბამისად, პრეზიდენტის ადმინისტრაციას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, მე-7 და მე-8 მუხლის თანახმად, არ იყო უფლებამოსილი მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, მოცემულ შემთხვევაში ნება გამოეხატა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთვის, რომელი ქმედებაც სამართლებრივ კონფლიქტში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით დადგენილ რეგულაციებთან და ლახავდა პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. განხორციელებული ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, დღევანდელი მდგომარეობით დადგენილია აჭარის ა/რ 2013 წლის დადგენილების საფუძველზე. პირს ქონება ჩამოერთვა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და მასზე მხარის პროცესუალური უფლებების დარღვევით, პირველივე წუთიდან, ვერ განხორციელდა სავალდებულო მტკიცების ტვირთი.

ამდენად, სასამართლომ უნდა გაიზიაროს პრინციპი, რომ სახელმწიფოს მიერ პრივატიზაციის წარმოებისა და მისთვის კონკრეტულად დადგენილი კრიტერიუმების არსებობის მიზანია გამჭვირვალე, ობიექტური და პირთა თანასწორობაზე დამყარებული პროცედურების წარმართვა, რაც შესაძლებელს გახდის მიღებული გადაწყვეტილება დაექვემდებაროს კონტროლს და არ იყოს დაფუძნებული მხოლოდ სახელმწიფოს იმგვარ ნებაზე, რომელმაც საფრთხის ქვეშ დააყენოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის უფლებები, საფრთხე შეუქმნას საკუთრების უფლებასთან მიმართებით სამართალში აღიარებულ სამოქალაქო სტაბილურობის ძირეულ პრინციპებს, რაც 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით, სახეზეა, ხოლო სახელმწიფოს ქმედებას, დღევანდელი მდგომარეობით, არავითარი იურიდიული ლეგიტიმაცია არ გააჩნია.

3 - აქვს თუ არა როლანდ ბლადამეს იურიდიული ინტერესი, არის თუ არა როლანდ ბლადამის იურიდიული ინტერესი ერთადერთი, ნამდვილი და მიღწევადი, არის თუ არა სასარჩელო მოთხოვნები სწორად დასმული, რა სამართლებრივი გარემოებები განაპირობებს პირვანდელი მესაკუთრის ქონებრივ უფლებებში აღდგენას და არის თუ არა მოთხოვნა ხანდაზმული, ქმნის თუ არა 2004 წლის გადაწყვეტილება რეალურ პრობლემას?

ა) თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რომლითაც მოთხოვნილ იქნა როლანდ ბლადამის საქმის შეწყვეტა მხარის იურიდიული ინტერესის არსებობის გამო. შესაბამისად, 2015 წელს წარმოებული დავის ფარგლებში, სასამართლომ დაადგინა როლანდ ბლადამის იურიდიული ინტერესის ნამდვილობა. იურიდიული ინტერესი საპროცესო წესრიგის შემადგენელი ნაწილია, რომელიც აღიარებითი სარჩელის სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს. ხელშეკრულების ბათილად ცნობა, აღიარებითი სარჩელის კატეგორიას მიეკუთვნება. შესაბამისად, ხელშეკრულების ბათილად ცნობის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს იურიდიული ინტერესის არსებობა. სამართალში აღიარებული პრინციპის თანახმად, იურიდიული ინტერესის არსებობა ყოველთვის გულისხმობს, რომ მხარე გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდეს ინტერესის ობიექტს, თუმცა იმავდროულად, იურიდიული ინტერესი, არ განისაზღვრება მხოლოდ პირის სუბიექტური დამოკიდებულებით ანუ მხოლოდ მისი სურვილით, არამედ აუცილებელია მისი ობიექტური მხარეც. ობიექტური თვალსაზრისით, ინტერესინ მოიცავს შედეგებს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებობს. აღნიშნული შედეგები აუცილებლად განსაზღვრული უნდა იყოს სამართლის ნორმებით და ამგვარი სამართლებრივი წესით დაცვა განაპირობებს ინტერესების იურიდიულ ბუნებას.

ბ) იმ სამართლებრივ ვითარებაში, როდესაც სისხლის სამართლებრივ წარმოებაში როლანდ ბლადამემ მიაღწია შედეგს, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამოირიცხა 2004 წელს მის სამსახურებრივ საქმიანობაში კორუფციული სამართალდარღვევის ნიშნები, დადგა არასისხლის სამართლებრივ წარმოებაში ჩამორთმეული ქონების კანონიერად ფლობისა და შეძენის ნამდვილობის ფაქტი. შესაბამისად, 2013 წლის აპრილის დადგენილებით როლანდ ბლადამის იურიდიული ინტერესი ბათილად იქნეს ცნობილი 2007 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება, გიორგი პაპუაშვილი აღიარებულ იქნეს არაკეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად, საპროცესო თანასწორუფლებიან გარემოში, სახელმწიფოს მიერ საკუთარი ქმედების არამართლობიერად და უკანონოდ გამოცხადების პირობებში, ქმნის იურიდიული ინტერესის ობიექტურ საფუძვლებს - პირი აღდგენს პირვანდელ ქონებრივ უფლებებში.

გ) არსებული სამართლებრივი მდგომარეობით, აღიარებითი სარჩელის არსიდან გამომდინარე, 2007 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის პირობებში, უძრავი ქონება უნდა ფაუბრუნდეს გამყიდველს - სახელმწიფოს. სწორედ ამ დავის სამართლებრივი შედეგია მხარის იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილება. სახელმწიფო, მიღებული ქონების არაკეთილსინდისიერი და არამართლობიერი მფლობელია. იმ ვითარებაში, როდესაც წინამდებარე დავის ფარგლებშიც, სახელმწიფო აღიარებს როლანდ ბლადამის ქონებრივი უფლებების დარღვევის ფაქტს, სახელმწიფოს ვალდებულებაა მის მფლობელობაში არსებული ნივთი გადასცეს (დაუბრუნოს) მის ერთადერთ და ნამდვილ კანონიერ მფლობელს - როლანდ ბლადამეს. სწორედ ამ წინამძღვრებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვერ გახდება დაბრუნებული ნივთის მესაკუთრე და ბათილად მიჩნეული 2007 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების პირობებში, იურიდიული საფუძვლები ერთვება მარეგისტრირებელი ორგანოსთვის მიმართვას, ვინაიდან იმ მომენტიდან, რა დროსაც ბათილად იქნება ცნობილი 2007 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება, ირღვევა სადავო ქონების ამჟამინდელი მესაკუთრის ნამდვილობისა და სისრულის პრეზუმცია. შესაბამისად, სახელმწიფო უძრავი ნივთის გამსხვისებელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით, კანონით ვალდებულია, მიღებული ქონება პრივატიზაციის წესით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად გადასცეს როლანდ ბლადამეს. ამასთან, ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ იმ ვითარებაში, როდესაც არსებობს 2013 წლის 12 აპრილის პირის გამამართლებელი დადგენილება, სახელმწიფომ ამ ქმედებით თავად გამოაცალა იურიდიული საფუძვლები კანონიერ ძალაში არსებულ პრივატიზაციის შედეგად წარმოშობილ, როგორც სადავო ხელშეკრულებას, ასევე სხვა სამართლებრივ აქტებს. შესაბამისად, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ვალდებულია ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ფარგლებში, ძალადაკარგულად გამოაცხადოს დასახელებული აქტები.

დ) იმ სამართლებრივ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფომ უსაფუძვლოდ გაასხვისა პირის უძრავი ქონება, აღნიშნული ქონება გადაცემულია პრივატიზაციის წესით სხვადასხვა სამართლებრივი აქტის საფუძველზე, აღნიშნული აქტები, ნაკლოვანია და ფორმალურად ძალადაკარგული, თუმცა იურიდიულად მოქმედი, როლანდ ბლადამის სასარჩელო მოთხოვნები ვერ იქნებოდა უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნა, ვინაიდან ქონების პირვანდელი მესაკუთრისთვის დაბრუნება უნდა მოხდეს იმ სამართლებრივი პროცედურული მოქმედებების შედეგად, რომელი მოქმედებების შედეგადაც გასხვისდა. მოცემულ შემთხვევაში, როლანდ ბლადამის სარჩელი ვერ იქნებოდა ვინდიკაციური სარჩელი, რადგანაც ვინდიკაციური სარჩელი დაკმაყოფილდება, თუ არსებობს ორი პირობა ერთობლიობაში: მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე - უძრავი ნივთის შემთხვევაში

დგინდება საჯარო რეესტრის ამონაწერიდან და მოპასუხე – ნივთის მფლობელს (მოპასუხეს) არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე არ არის მესაკუთრე. მას მოსპობილი აქვს ასეთად ყოფნის სამართლებრივი შესაძლებლობა, ხოლო მოპასუხე გიორგი პაპუაშვილს, მოცემულ დრომდე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად, აქვს ნივთის ფლობის უფლება. შესაბამისად, ვინდიკაციას მაშინ მიმართავენ, როდესაც მესაკუთრეს წართმეული აქვს ნივთზე მფლობელობა. ვინდიკაცია ეს არის მესაკუთრის მიერ სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნა, მოცემულ შემთხვევაში კი, როლანდ ბლადამე არ არის სადავო ნივთის მესაკუთრე და აღიარებითი სარჩელის ფარგლებში, მისი იურიდიული ინტერესისა და სახელმწიფოს ქმედებათა ერთობლიობით, შეძლებს ქონებრივ უფლებებში აღდგენას.

ე) როლანდ ბლადამის სარჩელი ხანდაზმული არ არის. მოცემულ შემთხვევაში, მართებულად დაისმის კითხვა, თუ რა სამართლებრივი შედეგის დადგომის მომენტიდან უნდა მოხდეს ხანდაზმულობის ვადების ათვლა. მხარე მიუთითებს, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს, იყო თუ არა 2004-2013 წლებში, მოთხოვნაზე და რა მომენტში, ხანდაზმულობის ვადები შეჩერებული, ვინაიდან ადგილი ჰქონდა როლანდ ბლადამის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას. მხარეს სახელმწიფოს მხრიდან მოსპობილი ჰქონდა შესაძლებლობა ედავა მისი იურიდიული ინტერესის ფარგლებში. მხარე მიუთითებს, რომ 2007 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები უნდა დაუკავშირდეს 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ მიმართვას საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ ქონების კანონიერების დადგენისა და სისხლისსამართლებრივი წარმოების გადახედვის თაობაზე, რომლის შედეგადაც 2013 წელს, როლანდ ბლადამე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველით, განახლდა სასამართლო წარმოება 2007 წელს ქონების გადაცემის აქტებზე. შესაბამისად, ხანდაზმულობის ათვლის მომენტი უნდა გახდეს აღნიშნული პერიოდი, როდესაც მხარეს წარმოეშვა იურიდიული ინტერესი ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაზე.

ვ) განსახილველ შემთხვევაში, არსებობს როლანდ ბლადამის ნამდვილი, მიღწევადი და ერთადრთი იურიდიული ინტერესი, რაც განაპირობა სახელმწიფომ აღიარებამ პირის მიმართ უკანონოდ და არამართლზომიერად მოქცევის გამო. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი და არასისხლისსამართლებრივი წარმოების საქმეზე დამდგარი 2013 წლის 12 აპრილის პროკურატურის დადგენილების პირობებში, სასამართლომ უნდა მონახოს სამართლებრივი არგუმენტი, პირის უუფლებოდ დარჩენა, არ განაპირობოს 2004 წლის სექტემბრის ქონების ჩამორთმევის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში არსებობის ფაქტმა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ახალი მტკიცებულებების პირობებში, უნდა განმარტოს ამ გადაწყვეტილების „კანონიერების“ იურიდიული შინაარსი და მისი ძალმოსილების საკითხი. ამასთან, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, აცლის თუ არა 2013 წლის 12 აპრილის დადგენილება სასამართლოს გადაწყვეტილების ნორმატიულ შინაარსს იურიდიულ საფუძველებს. მხარე მიუთითებს, რომ მართებულად უნდა დაისვას საკითხი, თუკი ეროვნული კანონმდებლო არ იძლევა საშუალებას, არაერთგზის მცდელობების მიუხედავად, გაუქმებულიყო 2004 წლის გადაწყვეტილება, უნდა დარჩეს თუ არა იურიდიული მნიშვნელობით, ძალადაკარგულად მიჩნეული ამ გადაწყვეტილების პირობებში, პირი ღირსი ინტერესის დაცვის გარეშე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მხარე აღნიშნავს, რომ წინამდებარე დავის პრეცედენტული ხასიათიც იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, პირველად ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში, განმარტოს - ვის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს საკითხი, უდანაშაულოდ მიჩნეული პირის საკუთრების

უფლებების სასარგებლოდ თუ კანონის ხარვეზის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში, გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის ინდივიდიალურ მოსამართლეს, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას და უნდა ამოდიოდეს ადამიანის უფლებების დაცვის უპირატესობიდან. შესაბამისად, სასამართლომ უნდა გამოიყენოს სსკ-ის მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც, „თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობებს, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობებს (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემაყრება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

მხარე მიუთითებს, რომ სასამართლომ ამ პრობლემის დაძლევისთვის უნდა გამოიყენოს სამართლის ანალოგია. სადავო საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე, სადაც კანონმდებელი პირდაპირ განსაზღვრავს და მოსამართლეს სთავაზობს მოქმედების წესს. სსკ-ის მე-5 მუხლის მიზანი არის მოსამართლისათვის მე-4 მუხლით დაკისრებული კანონის გამოყენებისა და მართლმსაჯულების განხორციელების შესასრულებლად უცილებელი სამართლებრივი ინსტრუმენტების მიცემა. კანონისა და სამართლის ანალოგია კანონის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა მაშინაც, როცა კანონი ხარვეზს შეიცავს ან მოსაწესრიგებელ შემთხვევას პირდაპირ არ ითვალისწინებს. ურთიერთობის მომწესრიგებელი კონკრეტული ნორმის არარსებობისას მე-5 მუხლი მოსამართლეს ანალოგიური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენების უფლებას აძლევს. ანალოგია გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებელი ნორმა გამოსაყენებელ კანონში არ არის. შესაბამისად, მოსამართლე უნდა დარწმუნდეს ასეთი ნორმის არარსებობაში. ანალოგიის ადრესატი არის მოსამართლე. მხოლოდ მას შეუძლია სამართალგამოყენების ამ მეთოდით სარგებლობა. ამ გაგებით მე-5 მუხლი შეიცავს მოსამართლის ქცევის სტანდარტს. სხვა თანამდებობის პირს ან სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელს უფლება არა აქვს გამოიყენოს კანონის ან სამართლის ანალოგია.

მოსამართლეს, ამ დროს, დავის გადაწყვეტა უწევს არა კონკრეტული, თუნდაც ანალოგიური ნორმის საფუძველზე, არამედ სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნებს. მოცემულ შემთხვევაში, სამართლის ანალოგიის გამოყენების არსებითი წინაპირობა არის კანონის კონკრეტული ნორმის არარსებობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა დავის გადაწყვეტა. შესაბამისად, სასამართლომ სამართლის ანალოგიის გამოყენება, განსახილველი დავის შემთხვევაში, უნდა დააფუძნოს სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობის პრინციპებს. მხარეს არ უნდა დაერღვეს საკუთარი მტკიცების ტვირთის განხორციელება და კონსტიტუციით მინიჭებული თანასწორუფლებიანობა. დაცვის მხარე არ უნდა შეიზღუდოს და უნდა მიეცეს შესაძლებლობა სრულყოფილად განახორციელოს კანონით დაკისრებული მოვალეობა, რისი წინაპირობაც არის უკანონო მსჯავრდება და საქმეზე არსებული იურიდიული ინტერესი (7 აპრილი, 2017 წ. საქმე #25აგ-17, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა).

4 - პირთა კეთილსინდისიერების საკითხი

ა) გიორგი პაპუაშვილმა სადავო უძრავი ქონების ნაკლთან დაკავშირებით სახელმწიფოს პრეტენზია წაუყენა 2012 წლის 11 დეკემბერს და გამოთქვა იურიდიული ნება ქონების

ალტერნატიული ფართის სანაცვლოდ დათმობაზე. თავის მხრივ, სახელმწიფომ გადაცემული ნივთის ნაკლზე გიორგი პაპუაშვილს იურიდიული პრეტენზია აცნობა და სახელმწიფოს წარსულში განხორციელებული ქმედების არამართლობიერებაზე მიუთითა 2013 წლის 17 თებერვალს. „გამყიდველისა“ და „მყიდველის“ სამართლებრივი შედავება წარმოდგენილია იმ ვითარებაში, როდესაც როლანდ ბლადაძე უდანაშაულოდ არ არის ცნობილი, თუმცა აჭარის ა/რ პროკურატურაში უკვე წარდგენილი განცხადების საფუძველზე, მიმდინარეობდა საქმის გადახედვის სამართალწარმოების პროცესი. გიორგი პაპუაშვილი წარმოადგენდა 2013-2014 წლებში, ქონების გადაცემის შესახებ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის სასამართლო პროცესში პროცესის მონაწილე მხარეს. დადაგენილია, რომ მხარემ 2014-2015 წლებში, საერთო სასამართლოებს მიმართა სარჩელის აღძვრამდე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. სწორედ უძრავი ნივთის სადავოობის პირობებში, მხარის მკაფიო იურიდიული ინტერესის გაჩენის ფონზე, საქმეში წარმოდგენილ იქნა 2015 წლის 17 მარტის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გიორგი პაპუაშვილს სურდა სადავო ქონება გაესხვისებია მეუღლის დის ყოფილ ქმარზე, გიორგი ლევინის მიმართ, რომელმაც, საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ 2015 წლის 1 მაისს მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაციის შეწყვეტა. სააპელაციო სასამართლომ საქმეს მტკიცებულების სახით დაურთო გიორგი პაპუაშვილის 2016 წლის 2 მარტის სატელევიზიო გამოსვლა, სადაც სადავოდ მიჩნეულ საცხოვრებელი სახლის შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხობს, რომ ქონების გადაცემის მომენტში, ნივთის ნაკლის შესახებ ინფორმაციას ფლობდა, თუმცა პრივატიზაციის დადგენილი წესით ნაკლის მქონე ნივთის მიღებაზე პროტესტს ვერ გამოთქვამდა, მაგალითს სხვა მოსამართლეებს ვერ მისცემდა. ციტატა ინტერვიუდან: „2012 წლის არჩევნების შემდეგ, აქტუალური გახდა, რომ ერთ-ერთი სახლი, სადაც მე ვცხოვრობ, თითქოს არასწორად იქნა ჩამორთმეული თავის დროზე, 2004 წელს, იმდროინდელი სამართალდამცავი ორგანოების მიერ და სასამართლოს მიერ, მივმართე 2012-2013 წლის დასაწყისში იუსტიციის და ეკონომიკის სამინისტროებს, რაიმე კითხვის ნიშანი ხომ არ არის ამ ქონებების ჩამორთმევის კანონიერებასთან დაკავშირებით. იმისთვის, რომ საფრთხე არ შეექმნას მოსამართლის ავტორიტეტს, მზად ვიყავი განმეხილა ალტერნატიული ფართი. პასუხები მოვიდა, რომ არავითარი კითხვითი ნიშნები არ იყო“. საჯარო კითხვაზე: „**რამდენად მორალური იყო მოსამართლეების მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი**“, გიორგი პაპუაშვილი პასუხობს, რომ „სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული ფორმის გადასინჯვის საშუალება არ იყო. სახელმწიფოსთან სპეკულაციას და ვაჭრობას ვერ დაიწყებდა“. კითხვაზე: „**რამდენად მორალურად სწორი იყო?**“, გიორგი პაპუაშვილი პასუხობს, რომ „მიღებული გადაწყვეტილებაზე სახელმწიფოსთან ვაჭრობაში ვერ შევიდოდნენ. ხელისუფლება ამბობდა, რომ სხვა ფორმით მოსამართლეთა დაკმაყოფილება ძვირი უჯდებოდა. თან, ის სხვა მოსამართლეებს ვერ მიცემდა იმის მაგალითს, რომ აყოლიება მოეხდინა და პრობლემები შეექმნა ხელისუფლებისთვის ქონებებთან დაკავშირებით“. სახელმწიფომ გიორგი პაპუაშვილს 2016 წლის 29 თებერვლის სამთავრობო კომისიაზე მხარი არ დაუჭირა ევროსასამართლოში მოსამართლედ წარდგენის კანდიდატურას და აღნიშნა, რომ ნაკლის მქონე უძრავ ქონებაში ცხოვრება მოსამართლისთვის მაღალი მორალური რეპუტაციის ნიშანს არ წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 მარტის საქმეზე: №ას-1269-1116-2010 გადაწყვეტილებით, ცალსახად იქნა დადგენილი, რომ „**დავის განმავლობაში, ნივთის გასხვისებისას მყიდველს შეიძლება არ ჰქონდეს ინფორმაცია შეძენილ ქონებასთან დაკავშირებული დავის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შემძენი ითვლება კეთილსინდისიერად და მისი უფლება დაცულია კანონით (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები).** თუ შემძენი ინფორმირებულია შესაძენ ნივთთან დაკავშირებული დავის თაობაზე, იგი ხდება იმ რისკის

მატარებელი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება დადგეს ამ ნივთის მიმართ. თუ დაკმაყოფილდება სარჩელი, შემძენს მოეთხოვება კანონიერ მესაკუთრედ ცნობილი მოსარჩელისათვის ნივთის დაბრუნება”. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ამ საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ამასთან, სუს 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებაში განიმარტა შემდეგი: „უძრავი ნივთის ფლობა არ განაპირობებს მფლობელის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმციას, მაგრამ უძრავი ნივთის კეთილსინდისიერების გამორკვევისას, აღნიშნულ ფაქტს, შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭოს, ვინაიდან დამკვიდრებული წესის თანახმად, უძრავი ნივთის შემძენი შემენამდე ინტერესდება ნივთის მდგომარეობით. საკასაციო პალატის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნივთის ვიზუალური დათვალიერება სწორედაც ჯდება შემძენის ობიექტურ შესაძლებლობებსა და წინდახედულების ფარგლებში. ამასთან, მართალია, კანონონმდებელი ნორმატიული აქტით არ ავალდებულებს უძრავი ნივთის შემძენს ასეთი მოქმედებების განხორციელებას, თუმცა შემძენის ინტერესებშია უფლებრივად და ნიბთობრივად უნაკლო ნივთის შეძენა. შესაბამისად, ამ ინტერესების დაკმაყოფილებისთვის შემძენს მართებს იმ მინიმალური წინდახედულობის გამოჩენა, რაც თუნდაც ნივთის ვიზუალურ დათვალიერებაში შეიძლება გამოიხატოს“ (საქმე: #ას-524-869-07).

გიორგი პაპუაშვილის 2012 წლის 11 დეკემბრის წერილი ცალსახად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ 2007-2012 წლებში, გიორგი პაპუაშვილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების პროცესში, არაკეთილსინდისიერი მფლობელისა და შემძენის სტატუსს ატარებდა, თუმცა აღნიშნულზე იურიდიულ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს მაშინდელი განმახორციელებელი საჯარო ინსტიტუტების მხრიდან არ მოელოდა, რადგანაც სახელმწიფოც და ქონების მიმღებიც - გიორგი პაპუაშვილიც, ერთად ლახავდნენ როლანდ ბლადადის კანონიერ ინტერესებსა და ქონებრივ უფლებებს. სასამართლოს წარვუდგინეთ მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს, რომ გიორგი პაპუაშვილი 2004-2012 წლებში მოქმედი აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო-პოლიტიკური თანამდებობის პირს წარმოადგენდა. 2004 წლის თებერვლიდან 2005 წლის თებერვლამდე ეკავა საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობა. 2005 წლის თებერვლიდან დაინიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად, ხოლო 2006 წლის 14 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ხოლო მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა იმავე წლის 30 სექტემბერს, ფიცის დადების დღიდან

მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ 2004-2012 წლებში მოქმედი ხელისუფლების პირობებში, როლანდ ბლადადის მიმართ ჩამორთმეულ საცხოვრებელ სახლში ცხოვრების გამო, გიორგი პაპუაშვილს ქონების შეძენისა და ფლობის არაკეთილსინდისიერების საკითხი დაუდგებოდა, მოსალოდნელი არ იყო. მეტიც, გიორგი პაპუაშვილმა ჯერ კიდევ 2004-2005 წლებში, საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე საქმიანობის დროს იცოდა, რომ 2004 წლის 10 სექტემბრის აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, როლანდ ბლადადის ქონება ჩამოერთვა, სახელმწიფო ბრალდება სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს განხორციელდა, ვინაიდან „პროკურატურის შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოს პროკურატურა წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, რომელზედაც

ზედამხედველობის უფლება გააჩნდა საქართველოს იუსტიციის მინისტრს - იმჟამად გიორგი პაპუაშვილს.

ბ) სახელმწიფო, როგორც სადავო 2007 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, **ვერც 2007 წელს და ვერც მოცემულ ეტაპზე კეთილსინდისიერ მხარედ ვერ ჩაითვლება.** სახელმწიფომ 2013 წლის 12 აპრილის დადგენილებით უძრავი ნივთის ფლობის, როგორც 2004, ასევე 2007 და ასევე 2013 წლის 12 აპრილიდან - დღემდე კეთილსინდისიერებას, თავად გამოაცალა იურიდიული საფუძვლები. **სადავო გარიგების ბათილობისთვის საკმარისია ერთი მხარის არაკეთილსინდისიერების დადგენა.** შესაბამისად, სახელმწიფოს, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილე მხარის არამართლზომიერი ქცევა და ნება, დღევანდელი მდგომარეობით, დადასტურებულია. უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენდა ნაკლის მქონე ნივთის გასვისებაზე უარის თქმა, რაც გამომდინარეობს, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუქნციიდან და მიზნებიდან, რომელიც გადანაწილებულია საკუთრების უფლების დაცვისა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფაში. სწორედ სახელმწიფოა სამოქალაქო ბრუნვისა და სტაბილურობის გარანტი, რაც პირდაპირ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დათქმიდან - ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი (სკ-ის მე-8, 54-ე, 115-ე მუხლები). ამორალური, კეთილი ზნის საწინააღმდეგო გარიგება, რომელიც, მართალია, მხარეთა ნების გამოვლენით დაიდო, შესაძლოა, უკვე შესრულდა კიდევ მხარეთა მიერ, მისი არსებობა პრობლემატურია მთლიანად საზოგადოებისათვის, იგი ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დადგენილ, გაბატონებულ, საზოგადოების წევრთათვის შესისხლხორცებულ წესებს. ასეთი გარიგება განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის საერთო სულისკვეთების, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამართლის იმპერატიული ნორმების ანალიზის საფუძველზე, ვინაიდან სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი.

შენიშვნა: 2018 წლის 11 მაისის სხდომაზე, როლანდ ბლადაძის ადვოკატმა დამატებით, ახსნა-განმარტების საფუძველზე აღნიშნა, რომ წინამდებარე დავის ფარგლებში, შედავებას აღარ წარმოადგენდა 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულების ტიპზე და საქმის განსჯადობის საკითხზე - საქმე უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით თუ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით. მხარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან სადავოდ გამხდარი ხელშეკრულება წარმოიშვა პრივატიზაციის პროცესის შედეგად, პრივატიზაცია კი წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების შედეგს, შესაბამისად საქმის განმხილველ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას აქვს ლეგიტიმური და კანონიერი საფუძვლები, განიხილავდეს როლანდ ბლადაძის სარჩელს. შესაბამისად, მხარემ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში დაფიქსირებულ სამართლებრივ პრეტენზიებზე, ამ ნაწილში, უარი თქვა.

არჩილ კაიკაციშვილი

როლანდ ბლადაძის ადვოკატი

11 მაისი, 2018 წ.

ქ. თბილისი